სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №37

2010 წლის 19 ნოემბერი

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 თებერვლის №21 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზ. ზედელაშვილი**

დანართი №1

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებას და სამხედრო სამსახურში გაწვევას.
2. სამსახური წარმოადგენს გამგეობის მუდმივმოქმედ, მუდმივი და ანაზღაურებადი შტატების საფუძველზე შექმნილ სტრუქტურულ ერთეულს.
3. სამსახური არ არის იურიდიული პირი, აქვს ბლანკი, ბეჭედი საკუთარი დასახელებით.
4. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.
5. სიღნაღის მუნიციპალიტეტი. ქ. წნორი, რუსთაველის ქ. №8.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, საკრებულოს ნორმატიული აქტები, გამგეობის დებულება და წინამდებარე დებულება.
2. სამსახური ანგარიშვალდებულია საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის წინაშე.

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ჭაბუკების, წვევამდელი და რეზერვის ასაკის მოქალაქეთა ზუსტი აღრიცხვა;

ბ) 17 წლის ასაკის ჭაბუკთა სამედიცინო კომისიაზე გატარება და სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა;

გ) წვევამდელთა და რეზერვისტთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულება;

დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიის მუშაობის ორგანიზაცია და გაწვეულთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში გაგზავნა;

ე) ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ორგანოებთან ერთად შესაბამისი გეგმის მიხედვით წვევამდელთა და რეზერვისტთა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა განხორციელება;

ვ) აღრიცხვაზე აყვანასა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოქალაქეთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა და სათანადო გადაწყვეტილებათა მიღება;

ზ) სასწავლო დაწესებულებების და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა დაცვის კონტროლი.

მუხლი 4. სამსახურის ძირითადი ამოცანები

1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია

ა) უზრუნველყოს მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღიცხვაზე აყვანა, სამხედრო სამსახურისათვის მომზადება და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზაცია;

ბ) უზრუნველყოს ახალგაზრდებთან პატრიოტულ-აღმზრდელობითი მუშაობა;

გ) გააკონტროლოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტეროტორიაზე მოქალაქეთა მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესრულება;

დ) განახორციელოს სამხედრო-სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა აღრიცხვა;

ე) მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში უზრუნველყოს რეზერვისტთა გამოძახება და შემკრებ პუნქტში მიყვანა.

მუხლი 5. სამსახურის უფლება-მოვალეობები

1. სამსახურს უფლება აქვს:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუფერხებლად გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ორგანოებიდან, კერძო სტრუქტურებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, შეისწავლოს და დასვას საკითხი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) შეატყობინოს მოქალაქეებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურში მისი გამოძახების შესახებ;

ბ) გაწვევამდე ერთი თვით ადრე შეკითხვით მიმართოს წვევამდელს მის მიერ გადავადების უფლების გამოყენების თაობაზე;

გ) გააკონტროლოს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სასწავლო დაწესებულებაში მოსწავლე-ახალგაზრდობის პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მიმდინარეობა. გაუწიოს კონსულტაციები ხელმძღვანელებს სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების მასწავლებლების შერჩევაში, ჩაუტაროს მათ სასწავლო-მეთოდური მეცადინეობები;

დ) გამოიკვლიოს მოქალაქის პროფესიულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა სამხედრო სამსახურში მისი ეფექტიანად გამოყენების მიზნით;

ე) მოამზადოს და შესაბამის სამსახურებს დადგენილ ვადებში წარუდგინოს ინფორმაცია და ანგარიში მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შესახებ;

ვ) რეზერვისტთა შესახებ სააღრიცხვო ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტს;

ზ) მოქალაქის პირველად სამხედრო აღრიცხვისა და სააღრიცხვო მონაცემებში შესული ცვლილებების შესახებ სრული მონაცემების ანგარიში წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს.

მუხლი 6. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის მუშაობას, ორგანიზაციას და კოორდინაციას უწევს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა;

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

გ) ანაწილებს ფუნქციებს მოსამსახურეთა შორის;

დ) ქმნის სამსახურის თანამშრომლისათვის მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის აუცილებელ პირობებს;

ე) წარუდგენს გამგებელს წერილობით წინადადებებს მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარესა და მუნიციპალიტეტის გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის, გამგებლის სამართლებრივი აქტებით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

თ) სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს გამგებლის დავალებით ერთ-ერთი სპეციალისტი.

მუხლი 7. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის წესი

სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ” ქვეპუნქტისა.

მუხლი 8. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლება - მოვალეობები

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს უფლება აქვთ:

ა) წარუდგინონ უშუალო ხელმძღვანელს წინადადებები სამსახურის საქმიანობის სრულყოფის თაობაზე;

ბ) მიიღონ მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები და პირობები;

გ) იხელმძღვანელონ მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივი აქტებით, კანონმდებლობით, საინფორმაციო თუ სხვა მასალებით;

დ) დააყენონ სამსახურის უფროსის წინაშე საკითხი მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ე) ისარგებლონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით და სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;

ვ) ისარგებლონ კუთვნილი შვებულებით, ასევე შვებულებით ანაზღაურების გარეშე;

ზ) ისარგებლონ სხვა შესაბამისი სიკეთით, რაც დადგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები მოვალენი არიან:

ა) ზუსტად შეასრულონ და დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრული მოვალეობანი;

ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელის დავალებები;

გ) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;

დ) იმუშაონ შესაბამისი პროფესიული დონის ასამაღლებლად;

ე) შეასრულონ გამგეობის შინაგანაწესის მოთხოვნები;

ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახის ქონებას.

მუხლი 9. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა

სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით.